

ოქმი #2
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2020 წელი, 14 იანვარი
ქ. ოზურგეთი
12.00 – 13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ღურჯუმელიძე, ლ. საჯაია, ლ. ბიგვავა, გ. ჩაგანავა, გ. კილაძე, ბ. დოლიძე, დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, გ. თოიძე.
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ი. სირაძე

სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია ბიუროს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა, მიულოცა დამდეგი კალანდა, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია და აღნიშნა ბიუროს 15 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დღის წესრიგი

1., „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით“ აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელმა დავით დარჩიამ ვრცლად ისაუბრა საანგარიშო პერიოდში, „ღია მმართველობა - საქართველოს“ 2018 - 2019 წწ. სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შესრულების შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლების კამპანია „თვითმმართველობა განათლებისათვის“ და მისი შემადგენელი ინიციატივის “ ჩვენით შექმნილი მომავალის“ ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებზე, ისაუბრა მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებების, მოქალაქეთა ჩართულობისა და ციფრული მექანიზმების შესახებ

მოსწავლე - ახალგაზრდობის საზოგადოებრივად აქტიური პრობლემების კვლევებში ჩართვაზე, მუნიციპალური სერვისების მიწოდებაში საზოგადოების კმაყოფილების სისტემის, სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის მნიშვნელობასა და სხვა. აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი და, განსაკუთრებით, მუნიციპალიტეტის საკრებულო ქვეყნაში ერთ-ერთი მოწინავეა საქმიანობის გამჭვირვალობის და ღია მმართველობის პრინციპების გათვალისწინებულ მოთხოვნათა პრაქტიკულად რეალიზებაში.

ხაზი გაუსვა იმასაც, რომ გასული 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების რეალიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტნიორებმა: საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა, საკრებულოს აპარატმა და საკრებულოსთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მათ. ამასთან ერთად აღნიშნა, რომ 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესრულება, რომელიც შეთანხმებულია ქვეყნის მთავრობასთან, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მუნიციპალიტეტს და მოუწოდა ბიუროს წევრებს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა 2020 -2021 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებაში.

ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ანგარიშის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

2., „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

დარგობრივი მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ ბიუროს მოახსენა, რომ დადგენილების კორექტირებულ პროექტში გათვალისწინებულია კომისიის შენიშვნები გარდა მე-15 მუხლისა, სადაც ძვირადღირებული კომპიუტირებული ტომოგრაფიული გამოკვლევების დასაფინანსებელ ბენეფიციართა სიას უნდა დამატებოდა ონკოავადმყოფებიც. მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ-ი.სირაძემ განმარტა, რომ ეს ჩამატება გამოიწვევს დაფინანსების გაზრდას 200 ათასი ლარით რისი საშუალება ბიუჯეტს არ ააქვს. ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ-გ.ღურჯუმელიძემ საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ მუდმივმომქმედი კომისიების თავმჯდომარეებს განუცხადა, რომ უმჯობესი იქნება თუ კომისიები წლის სამუშაო გეგმებს წარმოადგენენ ერთიანი ფორმატით და შესთავაზა შესათანხმებლად ერთობლივი შეხვედრა.

გადაწყვიტეს:

1.საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N1 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

2. N2- საკითხი შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში და განხილული იქნას წარმოდგენილი კორექტირებული ვარიანტი.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

